გილოცავთ, დედის დიდებულ დღესასწაულს!

# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

3 მარტი ხუთშაბათი 2022 წელი №9 (9219) ფასი 40 თეთრი

ქალბატონებო, გილოცავთ მარადიულ დღესასწაულებს!

## თქვენი ამაგი უკვდავია!

**ოთარ არბოლიშვილი,**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი**



3 მარტი დედის დღეა. გაზაფხულის პირველი დღესასწაული უკვე 30 წელზე მეტია აღინიშნება და კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. გულწრფელად ვულოცავ ამ ლამაზ დღეს ყველა დედას. მთელი ჩვენი ისტორია საქართველოს ქალების, დედების გმირობის მაგალითია და ასეა დღესაც.

ყველაზე დიდი ჯილდო მშობლისათვის შვილის წარმატებაა. გისურვებთ, რომ მუდამ გახარებული ყოფილიყავით თქვენი შვილების წარმატებით.

ყველა დედას ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას და რაც მთავარია, სამშობლოსთვის განათლებული და საამაყო შვილების აღზრდას. შვილებს კი ვუსურვებ მუდამ შეძლებოდეთ, არ მოაკლონ დედებს სიყვარული, სიხარული და პატივისცემა.

## დედის წინაშე ვალში ვართ!

**დავით ზაალიშვილი,**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ჩვენ ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე დიდ სიხარულს დედა წარმოადგენს. მშობელი ადამიანების სიყვარული უპირველესია, გვემატება წლები და მისი სახელი ყოველწუთიერი ბედნიერების მომტანია თითოეული ჩვენთაგანისთვის. დედა - ყველაზე ლამაზი და შინაარსიანი სიტყვაა ჩვენს ცხოვრებაში. საყვარელი დედის სახელით მინდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების დედას დიდი გულისხმიერებით და პატივისცემით მივულოცო დედის დღე და ულევი სიხარული და ბედნიერება ვუსურვო.

დედის გარეშე ამ ცხოვრებას არავინ მოვლენია, ამიტომ ყველას მოგიწოდებთ, დედების სიყვარული არასოდეს გაგნელებოდეთ, იცოცხლოს ყველა დედამ ამ ქვეყანაზე. დედა ხომ სიცოცხლის საწყისია.

დედის სიცოცხლე მარადიულია და



ვისურვებდი არასდროს დაშრეტილიყოს მისი არსებობა ამ სამყაროში.

დედებს სიცოცხლე, ბედნიერება და უკვდავება!

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 თებერვალს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

დეპუტატებმა სხდომის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1921 წელს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ იუნკერების ხსოვნას.

ასევე მხარი დაუჭირეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ“ წარმოდგენილ პროექტს.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიეტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 აგვისტოს №43 დადგენილებაში. ამიერიდან საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებისას პიროვნებას გადაეცემა ბორჯომის საპატიო მოქალაქის მედალი, შესაბამისი სერთიფიკატი, 100 ლარის ფულადი ჯილდო და 1000 ლარის ღირებულების სამახსოვრო საჩუქარი.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ახალგაზრდობის ხელშეწყობა (დახმარება)“ (კოდი 05 02 06) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №38 დადგენილებაში.

ტექნიკური ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 და №12 დადგენილებაში, 25 ივნისის №16 დადგენილებაში, 27 აგვისტოს №29 და №30 დადგენილებაში“.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის მუდმივმოქმედი კომისიის, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის, კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის დებულებები.

ცვლილებები შეიტანეს და დაამტკიცეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №63 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №3 დადგენილებაში.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

## ლუდომანებო, გაეცანით ამ განცხადებას!

**1 მარტიდან ყოველგვარი რეკლამა აიკრძალება onlain kazinoebis საქმიანობის შესახებ, 25 წლამდე ახალგაზრდებს, სოციალურად დაუცველებს და საჯარო მოხელეებს აეკრძალებათ ონლაინ კაზინოებით სარგებლობა! ჩვენ პირდაპირ ვუთხარით კაზინოებს, რომ აღარ გავაძარცვინებთ ხალხს!**

დედებს განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა!

## მუნიციპალიტეტის დახმარება ბენეფიციარებს



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია უკვე წლებია 23 პროექტს აფინანსებს სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა მიმართ. აღსანიშნავია მრავალშვილიანი ოჯახების, ახალდაქორწინებულთა, 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა, 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება და ა.შ.**

**მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი წლებია მრავალშვილიან დედებს დედის დღესთან დაკავშირებით ფინანსური სახის დახმარებას უწევს.**

**რამდენი მრავალშვილიანი დედაა 2022 წლის მონაცემებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რა რაოდენობის ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტი მათ დასახმარებლად, კიდევ რა სახის დახმარებას უწევს მათ დამატებით არსებული სამსახური პროგრამების გათვალისწინებით, ამ და სხვა საკითხებზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელს, ბატონ მიხეილ ხუციშვილს ვესაუბრეთ:**

● **დედის დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ რამ ფულად დახმარებას?**

- აღნიშნული ქვეპროგრამა, რომელიც „დედის დღის“ მილოცვას ითვალისწინებს და გულისხმობს პირად საბანკო ანგარიშზე 150 ლარის ჩარიცხვას. ამ პროგრამის ბენეფიციარები არიან მრავალშვილიანი დედები, რომლებსაც ჰყავთ 18 წლამდე ოთხი და მეტი შვილი და ასევე 18 წლამდე სამშვილიანი დედები, რომელთა ერთი შვილიც არის შშმ სტატუსის მქონე. მათი რაოდენობა 2022 წლის მონაცემებით 101 ქალბატონს შეადგენს და მათ შორის 98 ქალბატონი ოთხი და მეტი შვილის დედა გახლავთ, ხოლო სამი გახლავთ სამი შვილის დედა და მათგან ერთ-ერთი შშმ პირია. აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია, მრავალშვილიან ქალბატონებზე სოციალური და მორალური მხარდაჭერა.

● **ბატონო მიხეილ, თქვენი სამსახური ახალდაქორწინებული წყვილებისთვისაც ახორციელებს პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ისინი გარკვეული ფინანსური სახის დახმარებას იღებენ. რა რაოდენობის თანხას შეადგენს აღიშნული დახმარება?**

- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნითა და ბენეფიციართა წახალისების, სოციალური და ფინანსური თანადგომის გათვალისწინებით ახლადდაქორწინებული წყვილები მუნიციპალიტეტიდან იღებენ ერთჯერად დახმარებას, რომლის რაოდენობაც 300 ლარს შეადგენს.

● **ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებამ ბოლო წლების განმავლობაში თითქოს შესამჩნევად გაზარდა კიდეც რაიონის მასშტაბით შობადობის მაჩვენებელი. რა რაოდენობის თანხას გასცემს მუნიციპალიტეტი ყოველ მომდევნო ახალდაბადებულ ბავშვზე?**

- ეს დახმარებაც ერთჯერად დახმარებას მოიცავს და აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 200-მდე ბენეფიციარი. რაოდენობა კი განისაზღვრება შემდეგნაირად: 150 ლარი პირველ ბავშვზე, 200 ლარი მეორე ბავშვზე, 300 ლარი მესამე ბავშვზე და 1000 ლარი მეოთხე და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში. არსებული ქვეპროგრამის მთავრი მიზანი დემოგრაფიული მდგომრეობის გაუმჯობესებაა.

● **მუნიციპალიტეტი ასევე ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი და ოთხი და მეტშვილიანი ოჯახებისა და შშმ პირთა დახმარებას. რა თანხით განისაზღვრება არსებული სახის დახმარებები?**

- დედ-მამით ობოლი ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისათვის ყოველთვიური დახმარება 250 ლარს შეადგენს თითოეულზე.

რაც შეეხება ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს, დახმარება გაიცემა 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალური დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე, ხოლო 150 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. ასევე 150 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი. ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე ასევე გაიცემა ყოველთვიური დახმარება კომინალური გადასახადებისთვის (გაზსა და დენზე).

● **იმ რთულ პირობებში, როდესაც სოციალურად დაუცველთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს და მშობლების უმრავლესობას შვილების სარჩენად მინიმალური შემოსავალიც კი არ გააჩნიათ, ზემოთ აღნიშნულ სტატუსს ატარებენ და პლიუს მარტოხელა მშობლის სტატუსსაც, მუნიციპალიტეტის სამსახური მათაც უწევს დახმარებას. 2022 წლის მონაცემებით მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე რამდენი ბენეფიციარი მიიღებს დახმარებას?**

- მარტოხელა მშობლების (დედა/მამა) ყოველთვიურ დახმარებას 100 ლარის ოდენობით, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი მოქმედი სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე. ასეთ დახმარებას დღესდღეობით იღებს 31 ბენეფიციარი.

● **პროგრამის ფარგლებში არსებული 23 პროექტიდან ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა, საუბრის ბოლოს რომ შევაჯამოთ, რა რაოდენობის თანხაა სრულად გამოყოფილი 2022 წლის ბიუჯეტის მონაცემებით ოცდასამივე პროექტისათვის?**

- 2022 წლის ბიუჯეტიდან არსებული პროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 2 230 920 ლარს.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“**

# ვადიდოთ დედა, სიცოცხლის საწყისი!

## წარმატებული დედა

## ქალის ბედნიერებისთვის ზრუნვაა საჭირო

**ბედნიერების საზომი ცხოვრებაში არ არსებობს, რადგანაც ის ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურია და იმდენნაირი შეიძლება იყოს, რამდენნაირი ადამიანიც არსებობს ამქვეყნად. ვისთვის ოჯახი, შვილები და მოსიყვარულე მეუღლეა ბედნიერების მთავარი საზომი, ვისთვის კი მაღალანაზღაურებადი სამსახური თუ კარიერა. თუმცა ხომ არსებობენ ისეთი ქალბატონები, ვისთვისაც ოჯახიც და კარიერაც ერთნაირად ბედნიერების მომნიჭებელია. მინდა სწორედ ასეთი შესანიშნავი ქალბატონი, პედაგოგი ეთერ მელიქიძე გაგაცნოთ.**

**ქალბატონი ეთერი წლებია ლიკანის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში პედაგოგად მუშაობს. მას ყველა კოლეგა, ნაცნობი თუ აღსაზრდელის მშობელი უაღრესად ნიჭიერ და ჰუმანურ პიროვნებად ახასიათებს. სწორედ სიყვარულია ის მთავარი საზომი მისთვის, რომელიც ის ამდენი წელია იღწვის და ცდილობს, რომ ეს სიყვარული თითოეულ აღსაზრდელსაც ერთნაირად გაუნაწილოს.**

**ქალბატონ ეთერს დედა-შვილობასთან, აღსაზრდელებთან და საყვარელ საქმესთან დაკავშირებით ვთხოვეთ ჩვენთან ესაუბრა:**



● **რას ნიშნავს იყო ქალი და გერქვას დედა?**

- იყო ქალი ნიშნავს იყო ყურადღებიანი შვილი, თბილი, მოსიყვარულე მეუღლე და დედა, იყო ძლიერი პიროვნება საკუთარ საქმის და პროფესიის კარგი მცოდნე.

ქალბატონები და განსაკუთრებით დედები ბევრს შრომობენ, როგორც ფიზიკურად, ასევე გონებრივად. ამიტომ, მათაც სჭირდებათ დიდი სიყვარული და სითბო.

● **რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი შვილების აღზრდის პროცესში?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი მეგობრობაა შვილების აღზრდის პროცესში, განსაკუთრებით დღევანდელი ყოფის პირობებში. შვილები უნდა ენდობოდნენ მშობლებს. დედა საყრდენი წერტილი უნდა იყო ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში.

● **რა შეიცვალა თანამედროვე დედებისა და შვილების ურთიერთობებში? და თქვენ როგორ გაიხსენებთ დედასთან ურთიერთობას?**

- თანამედროვე ურთიერთობები ზოგადად ძალიან შეიცვალა, მაგრამ დედა-შვილობა უცვლელი და ურყევი ფენომენია. ძალიან ვდარდობ იმ ბავშვებზე, რომელთაც დედები ემიგრაციაში ყავთ. ყველა ემიგრანტ დედას სამშობლოში მალე დაბრუნებას და საკუთარი შვილების გვერდით ყოფნას ვუსურვებ.

რაც შეეხება დედასთან ჩემ ურთიერთობას, ჩემსა და მას შორის დიდი მეგობრობა იყო. ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით ის იყო პირველი ადამიანი, ვისაც ვენდობოდი. გადაჭარბებული არც მოფერება უყვარდა და არც საყვედური. არასდროს არ გვადარებდა სხვას, ვუყვარდით ისეთები როგორებიც ვიყავით. ამ ყველაფერს ამ გადმოსახედიდან უფრო უკეთესად აღვიქვამ და ვხვდები. ვცდილობ, დედაჩემისნაირი ვიყო. მას „ოქროს შუალედი“ ქონდა ნაპოვნი.

● **გარდა იმისა, რომ თავად ხართ დედა, უკვე წლებია ლიკანის №3 საბავშვო ბაგა-ბაღში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევით. რას ნიშნავს თქვენთვის თქვენი სამსახური და ის საქმე რასაც ემსახურებით და კიდევ რა უნდა იცოდეს თანამედროვე პედაგოგმა აღსაზრდელებთან მიმართებაში, რათა მან ზუსტად და სწორად წარმართოს ბავშვის განვითარების პროცესი?**

- ჩემი სახლი „ჩემი ციხესიმაგრეა“, ჩემი სამსახური კი ის ადგილია, რისთვისაც დავიბადე. პატარა ადამიანების ფერადი სამყარო დიდ ფიზიკურ და გონებრივ ენერგიას მოითხოვს. ბავშვის განვითარების ზუსტად და სწორად წარმართვისთვის საჭიროა სკოლამდელი აღზრდის თეორიული და პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ზუსტად უნდა განსაზღვრო თითოეულის შესაძლებლობები, საჭიროება და ინტერესი. უნდა იყო მრავალფეროვანი, მხიარული და აქტიური. ბავშვები ჩვენი გაწეული შრომის შედეგს ყოველთვის აბრუნებენ უკან სითბოთი და სიყვარულით. ჩემ აღსაზრდელებს შემდგომ სკოლაშიც ვგულშემატკივრობ, მათ ამბებს ხშირად ვკითხულობ.

● **საკმაოდ მძიმე პანდემიის პირობებში მოგიწიათ შრომამ. რა სახის მიდგომებს იყენებთ ასეთ რთულ ვითარებაში, რათა ბავშვებისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ყოველივე ის, რასაც ისინი ყოველდღიურ რეალობაში აწყდებიან. და რამდენად დიდი როლი ითამაშეს ამ შემთხვევაში დედებმა?**

- სრული ლოქდაუნის დროს ჩვენ დისტანციურ სწავლებაზე გადავედით, რადგან სასკოლო მზაობის ჯგუფისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, არ გაწყვეტილიყო ურთიერთობა აღსაზრდელებსა და ბაღს შორის. მადლობელი ვარ მშობლების, განსაკუთრებით დედების. ჩვენ ერთად შევძელით სტრესული პანდემიური სიტუაციის გაფერადება და გალამაზება. მაშინ, როდესაც ყველა საკანცელარიო მაღაზია დაკეტილი იყო, ბაღების გაერთიანებამ მიიღო გადაწყვეტილება, ბავშვებისთვის ბაღებიდან მიეწოდებინათ საგანმანათლებლო რესურსი, ამ ქუსტით სახლში გამოკეტილი პატარები და მშობლები ნამდვილად გავახარეთ.

კონტაქტურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ კი ჩვენი აქტივობები მოერგო ახალ რეგულაციებს და შეზღუდვებს. ვცდილობთ, პატარებისთვის ეს ნაკლებად თვალშისაცემი იყოს.

● **როგორ ფიქრობთ, რა უფრო მნიშვნელოვანია ქალისთვის, კარიერა თუ ოჯახი?**

- ყველა ქალბატონისთვის ეს საკითხი ინდივიდუალურია, ვიღაცისთვის კარიერის უმაღლეს საფეხურზე ასვლაა ცხოვრების მთავარი დანიშნულება, ზოგისთვის კი ოჯახის შექმნა (თუმცა, ერთი მეორეს არ გამორიცხავს). მაგრამ არ მეგულება დედამიწის ზურგზე ქალი, რომელსაც ცხოვრების რაღაც საფეხურზე გული არ დაწყდეს ოჯახზე, რომელიც არ შექმნა, ან კარიერაზე, რომელიც ვერ ააწყო.

● **და ბოლოს, თქვენი აზრით, მაინც რა ჭირდება ქალს ნამდვილი ბედნიერებისთვის?**

- ქალს სრული ბედნიერებისთვის ორი რამ სჭირდება: ეს არის ბედნიერი ოჯახი და საყვარელი საქმე.

ესაუბრა **ნატალია [illegible]**

## საკრებულოს წევრის სიყვარულის ისტორია



**ადამიანს** სიყვარული რომ უფრო აღამაღლებს, ეს ფაქტია. მისკენ სწრაფვა ადამიანის მიზანი უნდა იყოს, მით უფრო, თუ ოჯახის შექმნას უკავშირდება. ბორჯომის მერიის საკრებულოს წევრს, ტაბაწყურის თემის მაჟორიტარ დეპუტატს, **ანდრუშ ირიციანს** ვულოცავთ დაქორწინებას. ოჯახი ყველაზე ტკბილი ფასეულობაა და ერთმანეთის იმედით მთებს რომ შეეჭიდება ადამიანი, ესეც ხომ ცნობილია. ბედნიერება და წინსვლა ამ წყვილს. როგორ დაიწყო მათი სიყვარულის ისტორია, ამაზე თვითონ სიძე-პატარძალი, ანდრუშა და არფინე გვიყვებიან:

**ანდრუშ ირიციანი:** - ჩვენი ნაცნობობა დაიწყო 2 წლის წინ. ზაფხულში ვიყავი ჩასული თბილისში სამსახურის გამო და არფინეც იყო ჩამოსული შაუმიანიდან. არფინე ძალიან მომეწონა და დავინტერესდი მისი ვინაობით. თავიდან წინააღმდეგი იყო გაცნობის, ურთიერთობის. რამდენჯერმე შევაწუხე კიდეც და ბოლოს, დამთანხმდა სოციალურ ქსელში დამეგობრებაზე. რამდენიმე თვეში მეგობრობა გადაიზარდა სიყვარულში. გავიცანი არფინეს მშობლები და ამა წლის 2 თებერვალს გადავწყვიტეთ შეუღლება და შედგა ჩვენი ნიშნობა. არფინეს თვალებში სიკეთე დავინახე, სითბო და გულისხმიერება ვიგრძენი, არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ ხალხის, მეგობრების მიმართ. გუნდური მუშაობაც კარგად გამოსდის, აქტიურია. ის დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელია. მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ ჩემ ცხოვრებაში შევხვდი ასეთ კეთილშობილ პიროვნებას. ჩემი აზრით, სამაგალითო ოჯახში უნდა იყოს აღზრდილი. პირველ რიგში ნდობა ერთმანეთისადმი, სიყვარული, სითბო და ურთიერთგაგება ნათლად გამოიკვეთა..

**არფინე ბადალიანი:** მასწავლებელი - ეს იყო თბილისში, ტრენინგზე ვიყავით. გავიდა თვეები, ის მწერდა და მწერდა, მე კი „დავბლოკე“ სოციალურ ქსელში. ერთხელაც თბილისში სულ შემთხვევით ისევ ვნახეთ ერთმანეთი. ისეთი უცნაური გრძნობა დამეუფლა, სიტყვებით ვერ გეტყვით. ყველაზე მთავარი, რამაც ანდრუშას პიროვნებამ მომხიბლა ის არის, რომ იბრძოლა ჩვენი სიყვარულისთვის. ანდრუშა სანდომიანი, მიზანდასახული, კეთილშობილი, გულწრფელია. უსაზღვროდ მიყვარს. ჩვენ შეყვარებულები ვართ და მეგობრებიც, თანამოკავშირეები. მადლობა ღმერთს, რომ მას შევხვდი.

სასიხარულოა, რომ მათი შეუღლება დედის და ქალთა საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

გულწრფელად ვულოცავთ ახალგაზრდა წყვილს გაბედნიერებას.

**მონიკა ჭანტურია**

## მადლობა თქვენ, ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალის“ ექთნებო და ექიმებო!

**დიახ, მადლობა თქვენ!** - ყველას, ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ ადმინისტრაციას, ექიმებს, მედდებს, სანიტრებს, ტექნიკურ პერსონალს იმ შრომის, თავდადების და ერთგულებისათვის, რომელსაც ავლენთ იმ უხილავ მტერთან ბრძოლაში, რასაც „კოვიდ-19“ ჰქვია. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულება, ეს ყველა ექიმის ვალია და ამ ვალს პირნათლად ასრულებენ ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ ექიმები. უკვე ორი წელია, რაც ერთმა „უტვინო“ ვირუსმა შეცვალა მთელი მსოფლიოს ცხოვრება. დიახ, უკვე ორი წელია, რაც მსოფლიოს მართავს „კოვიდ-19“ თავისი ეტიკეტით. მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა პანდემიამ, მილიონობით ადამიანი დღესაც მკურნალობს საავადმყოფოებში. ნელ-ნელა მარცხდება პანდემია. თუმცაღა, მინდა სიმართლეს თვალი გავუსწოროთ ადამიანებმა და ვაღიაროთ, რომ პანდემიის სწრაფად გავრცელებაში ჩვენც ვუწყობთ ხელს „კოვიდ-19“-ს. დიახ, ეს ხელშეწყობაა, როცა „ვაქსერები“ ტელევიზიით მოუწოდებენ ადამიანებს, არ აიცრან, რომ აცრა ადამიანის ორგანიზმში იწვევს უშვილობას, რაღაც პროცესებს, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებენ მათ მომავალზე. მოსახლეობის დიდი თუ არა, რაღაც ნაწილი იზიარებს ასეთ მოწოდებებს, და ვერ ხვდებიან ეს ადამიანები, რომ თავიანთი ქცევით აზარალებენ თავიანთ ახლობლებს და სხვებსაც. არავითარი წახალისება არ უნდა გვჭირდებოდეს იმისთვის, რომ ავიცრათ და დავიცვათ ჩვენი და სხვების სიცოცხლე.



სწორედ ამ ვითარებამ დამაწერინა ეს წერილი. 70 წლის კაცი ვარ და საავადმყოფოში ღამე არ გამითენებია. მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ ავიცერი „ფაიზერით“, მაინც შემხვდა ვირუსი, რაც 8 თებერვალს ტესტმა დამიდასტურა. 9-ში კი უკვე ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ კოვიდ-განყოფილებაში დამაწვინეს. რაც შეეხება ჩემს მდგომარეობას, არ ვიყავი მძიმე ფორმით. 4 დღის განმავლობაში ხველება მქონდა გამძაფრებული, რომელიც ადვილად გადავიტანე. 10 დღე დავყავი საავადმყოფოში, ჩამიტარდა ყველანაირი მკურნალობა ჯანდაცვის სამინისტროს „პროტოკოლების“ მიხედვით. მინდა ვაღიარო, სანამ ჩემი თვალით ვნახავდი, თუ როგორ მკურნალობენ ავადმყოფებს ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსში“ მანამდე, ხოლოდ მესმოდა ბევრი უარყოფითი, რა თქმა უნდა, ჭორი, ენას ძვალი არ აქვს! შეფასებები მქონდა მოსმენილი სხვადასხვა ადამიანებისაგან საავადმყოფოს შესახებ, მაგრამ რეალობა კი სულ სხვაგვარია. კოვიდ განყოფილებაში, ერთ პალატაში 4 პაციენტი ვიყავით. პალატა აღჭურვილია ჟანგბადის აპარატებით, რომლებიც პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა პაციენტებისათვის. ნათელი პალატა, გათბობა, სისუფთავე, ახალი თეთრეული, დღეში სამჯერადი კვება, ხარისხიანი ახალ-ახალი პროდუქტები, ნანახმა დამარწმუნა, რომ ბორჯომის მოსახლეობას შეუძლია ენდოს „ჯეოჰოსპიტალსის“ ექიმებს, მაგრამ ერთი წამითაც არ დააგვიანონ, მიმართონ ექიმს თუკი რაიმე სიმპტომები გაუჩნდებათ. დაგვიანება ეს უკვე ტრაგედიის ტოლფასია. რაც შეეხება ექიმებს და მედდებს, დიდი მადობა ყველას. განსაკუთრებული მადლობა განყოფილების გამგეს - ქალბატონ **მანანა კალანდიას,** პირადად ჩემ მკურნალ ექიმს. მადლობა ექიმებს: **ნანა გელაშვილს, მაია ტიტვინიძეს, ალიონა საბაშვილს, დათო გუნდიშვილს.** მედდებს: **ნინო მაქარაშვილს, შორენა გელაშვილს, მაია ქოლაკს, იამზე მაისურაძეს,** სანიტრებს: **მაია ხუციშვილს, მაია გიგიტაშვილს, სოფო მღებრიშვილს და მაია გურგენიძეს.**

გულითა და სულით გილოცავთ „ჯეოჰოსპიტალსის“ მედპერსონალს 3 მარტს - დედის დღეს. დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს გისურვებთ როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ პანდემიასთან ბრძოლაში. ჩემს სამადლობელო წერილს ვამთავრებ ჩემი საკუთარი ლექსით, რომელიც გეძღვნებათ თქვენ, „ჯეოჰოსპიტალსის“ კოვიდ-განყოფილების ექიმებს.

**მანანა ხარ, თუ მაია,**
**ნანა ხარ, თუ ციცი,**
**იქნება ხარ ალიონა,**
**ყველა ხომ არ ვიცი.**
**მაგრამ ვისაც დაგიდიათ**
**ჰიპოკრატეს ფიცი,**
**ვისაც ხელში აგიღიათ,**
**წამლით სავსე შპრიცი.**
**გინდაც რიგით სანიტარი,**
**გინდ უფროსი მედდა,**
**მთავარია, რომ ხარ ქალი**
**და შენ ხომ ხარ დედა.**
**ჩემნაირ სახლში ხომ გყავს**
**დედა, მამა, შვილი,**
**ისიც იცი, რომ ავადმყოფს**
**კურნავს სიტყვაც ტკბილი.**
**კარები რომ გაიღება,**
**შენი სუნთქვა მესმის,**
**მერე აღარ მეშინია**
**წამლის, აღარც ნემსის.**
**მადლი ქენი, ქვაზე დადე,**
**წინ დაგხვდება მერე.**
**მთავარია, ავადმყოფებს**
**გულით მიეფერე.**
**მჯერა, ხალხი დაგიფასებთ**
**შრომასა და გარჯას,**
**მე კი ყველას დაგილოცავთ**
**გულს, თვალებს და მაჯას.**
**მალე წავა ეს „კოვიდიც“**
**თავის შტამებითა,**
**და აპრილიც ისევ მოვა**
**იასამნებითა.**
**აყვავდება ჭრელა-ჭრელად**
**ბაღში ისევ ნუში,**
**სიყვარული დაიბუდებს**
**ყველას, ყველას გულში.**
**მთელი გულით მოგილოცავთ**
**3 მარტს - დედის დღესა,**
**იდღეგრძელეთ და იხარეთ**
**მრავალ-მრავალ წელსა!**
**თეთრ ხალათში მოფარფატე**
**თეთრო ფერიებო,**
**ავადმყოფთა და სნეულთა**
**დიდო იმედებო.**
**იფარფატე, იფარფატე**
**ჩემო თეთრხალათა,**
**როცა გხედავთ, დამიჯერეთ,**
**აღარა ვარ ავადა!.**

**ჯემალ ბიბილური.**
სოფ. დვირი.

## „ნი-კოლაჟი“ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა

**27 თებერვალს ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო პროფესიულმა თეატრმა ბორჯომში მცხოვრები უნიჭიერესი თვითნასწავლი ხელოვანის, ქალბატონი ნინო კეველიშვილის ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლა.**

„ნი-კოლაჟი“ სწორედ ეს სახელწოდება შეურჩია მან სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდს, სადაც მისი ყველა ნამუშევარია წარმოდგენილი და გამოფენაც, სწორედ ამ სახელწოდების ფარგლებში გაიმართა. გამოფენის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ. სხვადასხვა მატერიებით, მძივებით, ფერადი თვლებით, ნიჟარებით, თხილისა და კაკლის ნაჭუჭებით შექმნილი ნამუშევრების ხილვისას დამთვალიერებელი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ნამუშევრებს შორის ყველაზე მეტი რაოდენობით აფრიკელი ქალების თემატიკა გახლდათ წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნინო ნამუშევრებს დიდი ხანია ქმნის, გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობა სწორედ პანდემიის პირობებში შეიქმნა. ხელოვანისთვის მისი ნამუშევრების გამოფენა რიგით პირველი გახლდათ და ის მისი შემოქმედების ერთგვარი გაცნობა იყო დამთვალიერებლებისათვის. გამოფენას ქალბატონი ნინოს კოლეგები, ოჯახის წევრები, მეგობრები და ჩვეულებრივი რიგითი დამთვალიერებლები ესწრებოდნენ. ხელოვანმა რამდენიმე ნამუშევარი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და უკრაინელი ხალხის სოლიდარობისა და მხარდაჭერის ნიშნად მათივე დროშის ფერებში შექმნა.



გამოფენაზე დამთვალიერებლებს ნამუშევრების შეძენის შესაძლებლობაც ჰქონდათ. როგორც ხელოვანმა აღნიშნა, მსურველებს სასურველი ნამუშევრის შერჩევა და ყიდვა სოციალური ქსელის მეშვეობით გვერდზე სახელწოდებით „ნი-კოლაჟი“ ექნებათ.

**ნატო მელიქიძე**

# დედა, პოეზიის დიდი შემოქმედი!

**ქალთა დღესასწაულები რომ გვილამაზებს სიცოცხლეს ისეთი თვე დადგა და ბუნებას არაერთხელ მოუწევს აღიარება ქალის სილამაზისა, სიკეთისა, ქედმოუხრელობისა და ამავდროულად, ნაზისა. სწორედ აქ გთავაზობთ ბორჯომელი ქალბატონების ინდივიდუალური ხედვით გამორჩეულ ლექსებს.**



**ნინო ხოტივარი-ლომიძე** ულოცავს ბორჯომელ ქალბატონებს დედის დღეს: „ყველა დედა ბედნიერია, რადგან მფარველ ანგელოზად ყოფნა უბოძა უფალმა. არ მოგკლებოდეთ დედობის მადლი საქართველოს დედებო!"

## მედეა კოლხი

უკვე მერამდენედ, ვებრძვი წარმოსახვებს...
მითებს გამობმია ფრთები.
ფრთები აფრებია!
ფრთები პათოსია!
მივსდევ გრაალივით
ვლღვები...
კოლხურ-იბერიულ გონის სიდიადე,
თვალუწვდომელიდან მოთქვამს,
წვიმიანი მთების, კავკასიის რასა,
შუმერების კვალში მოჩანს,
მარად ყოფითშია, ტკბილი ზეთის მქმნელი,
მცენარეთა და და დედა,
თავსატეხად ჩნდება, პირველ ქართველ ქალზე,
ტრაგედიის შექმნის ნება!
საუკუნის ჟინში, ცხადად იკვეთება,
ცოდვიანთა მუხლით ცოცვა,
- შვილოსნობის წამლის შემზავებლისაგან,
შვილთა საკუთართა ხოცვა?!!
რითი მოიხერხეს? როგორ ითამაშეს,
ასე მადლაყრილი როკვა!
მზე- ღმერთს შვილიშვილი,
ურცხვად შეუგინეს „საწმისს" დაადევნეს ბოდვა...
შურისძიებათა ფერად დიაგრამებს, ათასწლეულები ლეწავს,
დანტეს ჯოჯოხეთის ასხნილი ცოდვა, ერთხმად დააბრალეს „დედას"...
მოკვდავ კორინთელთა, ვერცხლში განაზავი,
ზრახვა, შეწვდომია ღმერთებს,
სისხლიანი ლაქა გზებს ყველგან ხერგავდა,
ჩამობანა სურდათ ხელებს...
ქმრისგან გაყიდულის, დრამად გაყიდვაზე,
ევრიპიდე სიტყვას ბედავს.
და, არავინ იყო მისი განმკითხავი,
არვინ, ქუეყანასა ზედა...
ნირი არ შეცვლია, არ უთაკილია ფარსი ხმაურიან ათენს,
კოლხზე ნასროლ ტალახს მძაფრი სუნი ჰქონდა,
მეტად ერგებოდა სათქმელს.
არსად არ გაისმა შფოთი, არც ქომაგი,
ლაზურ-მეგრულ- სვანურ ერის,
ქალ-ღმერთს მოაზომეს, ჯერარსად ნახული,
სახე უსახური დედის...
...რადგან, ვარცხნილი და მისხალ მითვლილია,
თითო თმა და ღერი თავზე,
„არცა რაი არს დამალული, რაცა არ გაცხადდეს"!!!
ახლა, როცა მითი ფესვის სიგრძეს ზომავს,
ფიქრებს გამობმია ფრთები,
ფრთები აფრებია! ფრთები პათოსია!
ვიქნევ გრაალივით, ვლღვები...



ჩვენი ქალაქის კოლორიტულ პერსონას, ამაგდარ პედაგოგს, სიტყვისმჭედელ ქალბატონს – **ანასტასია ხაჩიძეს** ვულოცავთ დედის დღეს და გთავაზობთ მის გამორჩეულ ლექსს.

## ვეძებ მამულს

დასავლეთით ცა შეწითლდა,
გულმა თითქოს რეხვი მიყო,
ჩემი ქვეყნის წარსული მკლავს,
აწმყო მაინც კარგი იყოს.
ნაწილ-ნაწილ, ნაკუწ-ნაკუწ,
გაყიდულს და დაკარგულს,
ვეძებ მამულს, ტკივილი მკლავს,
აღარ მიხსნის დანა გულს.
ვკივი, მაგრამ ეს კივილი
არა სცდება ჰორიზონტს,
იმის იქით საქართველოს
ბარიანად, გორი-გორ.
შავშეთი თუ არტანუჯი,
შატბერდი თუ პარხილი,
ბანა, მერე, დოლისუპი,
ჩვენთვის უკვე გამქრალი.
ოთხთა, ოშკი, თუ იშხანი,
ხანძთა - გულის საკინძე,
ჩამოვთვალო? მაგრამ როგორ
ვერაფრით ვერ გავიგე.
გული ველარ დატეულა,
საგულეში ფართხალებს,
ყველაფერი დაბრუნდება?
ეს კითხვა კვლავ მაწვალებს.
აღარ ვიცი, მაინც როგორ
მოვეფერო ჩემს მამულს,
დამშრალს, დამზრალს, მოიმედეს,
შევტიროდე მის წარსულს.
ღირს ცხოვრება, თუ არა ღირს,
ვარსებობდე ამქვეყნად,
იქნება, სჯობს გადავგვარდე,
გადავიქცე ნამქერად.
რამდენ სევდას იტევს მტკვარი,
რამდენ ტკივილს ჭოროხი,
„მომავალი ჩვენი არის" -
ამ სიმღერას ვერ მოვრჩით.
სად ვეძებო საიდუმლო, სადა ვპოვო იმედი,
ფრთა შემესხას, მოვიარო,
მთები, ზვრები იმდენი.
სულის კივილს ველარ ვუძლებ,
სადღაც გარბის სათქმელიც,
ისევ ცის თაღს შევყურებ და ცრემლი მომდის, რამდენი...
წინაპარო, როგორ შევძლო, შენი გულის მოლბობა,
როცა მომსპო ტკივილებმა, ამდენ გლოვამ დამაობლა.
გადამწვარი ოლთისი მკლავს, დაკარგულო კლარჯეთი,
ჰე, მამულო, ვით შევიძლო, მოთმინება ამდენი.



გაზეთ „ბორჯომის" რედაქცია დიდი პატივისცემით ულოცავს დედისა და ქალთა დღეს ლექსთა სამყაროს გამორჩეულ პოეტს, სიყვარულზე ჰიმნების შემქნელ ქალბატონს – **მარიზა ჯიქიას** მისივე ლექსით.

ცეკვად გარდავსახე შენი მონატრება,
ჩემი წარმოსახვა,- ოცნებების რული,
შორით დაგლანდე და გამიცოცხლე ვნება,
თითქოს მკვდრეთით აღსდგა ჩემი სიყვარული.
ახლა შენი ლანდი ჩემს გარშემო როკავს...
შენი სინატიფე ისევ გამახელებს!..
სული უსასრულო მოლოდინებს ლოკავს,
ხელში აგიტაცებ, წელზე მოგხვევ ხელებს.
მოდი, მოდი, მოდი, ბგერას ყური ვკიდე,
რაღაც უხილავი ძაფით მექაჩები...
შენს ლანდს დავეწიე, კვალში გავეკიდე,
ხელში აგიტაცე ანგელოზი ჩემი. . .
ბრუნავ ბედნიერი, ვბრუნავ უსასრულოდ,
ხელში ჩამეღვარე წვიმად გარდაქმნილი,
ისევ აიკრიფე სველი სხეული და...
ისევ გამიცოცხლე ვნება გარდაცვლილი.
წუთი გაიყინა სევდად განფენილი,
შენს ლანდს ვიხუტებ და ანგელოზად გსახავ,
ნუღარ მიმატოვებ ცამდე აფრენილი,
თორემ დაგკარგავ და... ვერასოდეს მნახავ.
ღამე მომეახლა, მთვარემ მიმეგზურა,
მიწას დავესვენე დარდით დატორილი,
ძილში ანგელოზის სუნთქვა ჩამესმა და
შემრჩა: სად ხარ?.. სად ხარ?.. ბგერა დატორილი.
უმალ დავიჭირე სასურველი ლანდი,
ფრთებით მიგიზიდე, მკერდზე დაგიკონე,
მაინც გამიფრინდი მოქნილი და მარდი,
ხსოვნად ანგელოზის ფრთები დამიტოვე.
ქალად გარდავსახე შენი მონატრება,
რაწამს განსხეულდი და ხელი შემახე,
უმალ გაქრილია შენი მოლანდება . . .
ნეტავ არასოდეს თვალით არ მენახე.
ახლა რეალური ირეალურს ხვდება,
შენი მიტოვება უმალ განვიზრახე...
ვიცი შენი გული უთქმელადაც ხვდება,
რატომ ვერ დაგიგე სიყვარულის მახე.
როკვად განფენილა შენი მონატრება,
შენი სიყვარული მაინც გამახელებს...
სულის ტკივილები ვერ მოთოკავს ვნებას,
ბედით გალახული დაგიკოცნი ხელებს.
ახლაც შენი ლანდი ჩემს გარშემო როკავს,
ჩუმად დამეუფლა სიყვარულის რული...
ახლა სულ ერთია რა ჯანდაბა მომკლავს.
ცეკვად გარდავსახე შენი სიყვარული.

მოამზადა **მონიკა ჭანტურიამ**

---

**მასწავლებლობა უწყვეტი პროცესია**

# მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ აფასებ!

**თამარ ბლიაძე წამყვანი მასწავლებლის სტატუსით ახალდაბის საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგია, სკოლაში 26 წლიანი გამოცდილებით.**
**იგი 8 წელი სასწავლო ნაწილის გამგის პოზიციასაც იკავებდა. დღეს, პარალელურად ახლციხის რაიონში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების კოორდინატორია.**
**ქალბატონი თამარი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.**

● **წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვება, რა დამატებით ვალდებულებებს აკისრებს პედაგოგს და როგორია გზა, რომელსაც მასწავლებელი სკოლაში ყოველდღე გადის?**

– სტატუსი არ განსაზღვრავს მასწავლებლის მოვალეობებს, იგი მუდამ უნდა ფიქრობდეს თავის მოსწავლეებზე, მათ საჭიროებებსა თუ შესაძლებლობებზე, რათა საინტერესო და ინტერაქტიული სასწავლო პროცესი შექმნას ყოველ გაკვეთილზე. არცერთი მოსწავლე არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. ბავშვს უნდა აგრძნობინო, რომ გიყვარს, ზრუნავ და აფასებ, როგორც პიროვნებას.

რაც შეეხება წამყვანი პედაგოგის ვალდებულებებს, ვფიქრობ, უმთავრესი კოლეგებთან თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და საკუთარი გამოცდილების გაზიარებაა.

● **გაგვიზიარეთ, რა დაგანახათ თქვენმა გამოცდილებამ?**

– რაც არ უნდა გამოცდილი და რა სტატუსის მქონეც არ უნდა იყოს პედაგოგი, არასოდეს არ უნდა შეწყვიტოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ჩემმა გამოცდილებამ დამანახა, რომ მუდმივად ორიენტირებული უნდა ვიყო, სამუშაო პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების შესაბამისად, მიზანზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

● **როგორი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მასწავლებელი?**

– პირველ რიგში აუცილებელია მოსწავლეების და პროფესიის ძლიერი სიყვარული, ბავშვებმა უნდა დაინახონ სიყვარული და საჭიროება იმ ყველაფრის, რასაც ვასწავლით, ასევე მასწავლებლებს უნდა შეგვეძლოს გავითვალისწინოთ მოსწავლის გრძნობები, ემოციები, ფიქრები და განცდები. მოსწავლეებს



უყვართ მასწავლებელი, რომელიც მოსაწყენ საგანს საინტერესოდ ასწავლის, აქედან გამომდინარე მასწავლებლის მთავარი თვისება უნდა იყოს შემოქმედება, იგი უნდა იყენებდეს სხვადასხვა სწავლების მეთოდებს, რომელიც მოსწავლის ინტერესებზე იქნება მორგებული. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მასწავლებელი ყოველთვის მზადაა დაეხმაროს მას. უნდა მოვიპოვოთ მოსწავლეთა ნდობა და ვიყოთ მათთვის საინტერესონი. ბოლოს აღვნიშნავ, მასწავლებელი უნდა იყოს მიმტევებელი, უნდა შეეძლოს მოუსმინოს მოსწავლეს და მხარი დაუჭიროს მას.

● **ორი წელია სკოლებში სწავლება ჰიბრიდულად მიმდინარეობს, როგორც ონლაინ ისე კონტაქტურად, ვისაუბროთ ონლაინ სწავლების დადებით და უარყოფით კონტექსტზე, რა გაჩვენათ ამ პერიოდმა?**

– ონლაინ სწავლების ყველაზე დადებითი მხარე ისაა, რომ ჩვენი საქმიანობის გაგრძელების საშუალება მოგვეცა და ამ გართულებულ სიტუაციაში არ გავჩერდით. მოვახერხეთ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მანამდე უცნობი შესაძლებლობების გაცნობა-გამოყენება. მოზარდებისთვის ეს საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით ონლაინ გაკვეთილზე შესაძლებელია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენება. მე როგორც მათემატიკის მასწავლებელი ვიყენებ ხანის აკადემიის სასწავლო ვიდეოებს და სავარჯიშოებს, ტელესკოლის გაკვეთილებს, კარგი სკოლის თვალსაჩინოებებს, math.ge-ს მასალებს, რაც ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს. უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლე მიეჯაჭვა ტექნოლოგიებს, ასევე გაკვეთილის მცირე დროის გამო მასწავლებლებს მოუწიათ სასწავლო გეგმის მოდიფიცირება. ასევე ზოგიერთ მოსწავლეს არ აქვს ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე და მოწყობილობაზე, რაც თავისთავად პრობლემას წარმოადგენს.

● **გაიხსენეთ ფაქტი, რომელმაც თქვენს მასწავლებლად ჩამოყალიბებაში გარდამტეხი როლი ითამაშა?**

– ჩემ მასწავლებლად ჩამოყალიბებაში გარდამტეხი როლი ითამაშა ჩემი მასწავლებლების ნდობამ, სიყვარულმა და დამოკიდებულებებმა. ზოგიერთი მათგანი დღეს ჩემი კოლეგაა, ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა მათ. მასწავლებლობა უწყვეტი პროცესია, თავადაც სწავლობ და სხვებსაც ასწავლი. შედიხარ საკლასო ოთახში, სიყვარულით ანთებული თვალებით შემოგყურებენ ბავშვები და შენგანაც იგივეს მოელიან, მათგან გულწრფელი ემოციები მთავარი მამოძრავებელი ძალა ხდება და ასე გრძელდება უწყვეტად.

● **დაგვისახელეთ საკითხები, რომლის გადაჭრა სკოლებში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს?**

– სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა სკოლებში პრობლემას წარმოადგენს და სასურველია, ეს პრობლემა მოგვარდეს. მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა და მშობელთა ჩართულობა სასკოლო საზოგადოების მთავარი ამოცანა უნდა იყოს. დადგენილია, რომ მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა დადებითად აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. მშობელმა უნდა იცოდეს, მის შვილს რას და რა მეთოდებით ასწავლიან. სკოლის დირექტორი, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ერთი გუნდის წევრებად უნდა აღიქვამდნენ თავს, ერთობლივად უნდა მუშაობდნენ სკოლის განვითარებისთვის. თუ გვსურს სკოლაში პოზიტიური პროცესების დაძვრა, თანამშრომლობისა და თანამონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია ამაზე ფიქრიც კი. სკოლებში უნდა დამკვიდრდეს კულტურა, სასკოლო საზოგადოებამ ერთობლივად დაგეგმოს საკუთარი განვითარების გზა და მუდმივად იფიქროს მის განვითარებაზე, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის დირექტორს, რომელიც ყველასათვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ეს ყველაფერი ერთად ხელს შეუწყობს სკოლა ჩამოყალიბდეს ერთიან გუნდად და მართოს შიდა პროცესები.

● **რას ურჩევდით მოსწავლეებსა და მომავალ პედაგოგებს?**

– მთავარი სურვილი და მონდომებაა, არც ერთ ასაკში არ თქვათ უარი ოცნებებზე, უბრალოდ ირწმუნეთ საკუთარი შესაძლებლობების და ყველაფერი გამოგივათ.

**იზა იანვარაშვილი**

---

## ნახვამდის არის რაღაც კონკრეტული



**უნიჭიერესსა და უმშვენიერეს პოეტს, ქალბატონ დალი ბანცაძეს ჩვენი გაზეთის მკითხველები დიდი ხანია იცნობენ. პოეტები, რომ ყველანაირ ნეგატივში ცდილობენ პოზიტივი დაინახონ, დალიამის საუკეთესო მაგალითია.**

**ჩვენი ნიჭიერი პოეტი კოვიდ-19-მა უკვე მეორედ ისტუმრა. კოვიდს იმდენად ვუყვარვარ, ჩემ გარეშე ვერ ძლებს და ყოველ წელს მსტუმრობსო.**

**პირველად გასული წლის დეკემბრის ბოლოს ებრძოდა ვერაგ ვირუსს შედარებით რთულ ფორმაში, ხოლო ამა წლის თებერვალში კი ახალი შტამი ენომიკრონი შეხვდა. ამბობს, რომ შედარებით მარტივ ფორმაში გადაიტანა, მხოლოდ ორი დღე ჰქონდა სიცხე და მეოთხე დღეს ისე გახალისდა, რომ მსოფლიო ვირუსს სტრიქონებიც კი მიუძღვნა, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც ვთავაზობთ.**

**დალის სწრაფად გამოჯანმთელებას და ბევრ პოზიტივით აღსავსე სტრიქონებს ვუსურვებთ.**

**ახალ-ახალი შტამები**
**თან დამყვება ყველგან,**
**რა გინდოდა, რას ამები,**
**რა წაიღე ჩემგან?!.**
**ვერც ნერვებზე იმოქმედე,**
**ვერც მომიღე ბოლო,**
**შემებრძოლე, დაგეჭიდე,**
**გავიმარჯვე მხოლოდ...**
**სატანის მოციქული ხარ,**
**თავნება და ურჩი,**
**არ გეგონოს მაგარი ხარ,**
**ძლივსღა გადამირჩი.**
**ახლა წადი დამეკარგე,**
**არსად დამენახო,**
**შენი ფეხი ამ წლის ბოლოს**
**თვალით აღარ ვნახო!...**

**დალი ბანცაძე,**

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# ვულოცავთ!



ჭობისხევის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრისა და ბორჯომის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს - სულით და სულიერებით, ცნობიერებით და აზროვნებით, გულით და გონიერებით, მენტალობით და ფიზიკურად, ნამდვილად უფლისმიერს, ნამდვილად ქრისტეს ღირსეულ მხედარს, მართლმადიდებლური კანონიკის სიღრმისეულ მცოდნეს, ამ კანონიკის მკაცრად დამცველს და უზადოდ შეუცდომლად აღმსრულებელს, უფლის გზით ღირსეულად მავალს, სამართლიანს, თავმდაბალს, გულისხმიერს, ყველასადმი მზრუნველს, ყველანაირი ადამიანური თვისებებით შემკულს, რომლისათვისაც უცხო და მიუღებელია პირადი ფუფუნება, პირადი განდიდება, ყოველდღიური ცხოვრებისეული ამბიციები, ფეხის ტერფიდან თმის ღერამდე სამშობლოს უზომოდ მოყვარულს და ერთგულს, ნაღდ ქართველს, სრულიად ახალგაზრდა, სათნოებით აღვსილ, უმშვენიერეს ქეთევან კაპანაძის მეუღლეს, ცხრა - შვიდი შვილისა და ტყუპი გარდაცვლილი ვაჟების მამას, ძირძველ ბორჯომელს, ერობაში - კახა კოსს, მართლმადიდებლობაში - დეკანოზ ილარიონს ვულოცავ თავისი წმინდანის, ღირს ილარიონ ქართველის - ილარიონ ყანჩაველის ხსენების დღეს - 27 თებერვალს... /1864წ./

- ჩემო ხალხნო, მამა ილარიონის შემამკობელ სიტყვებზე მე არ მიფიქრია, ამ სისხამ დილით - ორშაბათ დილით, ჩემმა მარჯვენამ - უფლისგან შთაგონებული სიტყვები კალმით ქაღალდზე გადამატანინა და შემდეგ ელექტრონულად ამატვირთინა... დიდება უფალს და მის ერთ-ერთ ერთგულ მცველს - დეკანოზ ილარიონ კოსს, რომელიც 2003 წლიდანაა საეკლესიო სულიერებაში - როგორც მრევლი, როგორც სტიქაროსანი, როგორც წიგნის წამკითხველი - მედავითნე, როგორც დიაკვანი და 2011 წლიდან, როგორც მღვდელი - სულიერი მოძღვარი...

P.S. ქრისტეს მსგავსად, ქრისტეს მცნებების ღირსეულ მიმდევარს, თავისუფლება აქვს მიცემული ყველა ადამიანისათვის, ის არავის არაფერს თხოვს, არავის არ აძალებს ღვთის გზაზე სიარულს, არ თხოვს თუნდაც ტაძრისათვის ფიზიკურ შრომასაც კი... ვინ, რა გზას აირჩევს - ეს თითოეულის თავისუფალი ნებაა...

სულ ახლახანს, მიმდინარე წელს, სამი კვირის მანძილზე, ქალაქის გულში, რუსთაველის ქუჩაზე არსებულ წმიდა გიორგის ტაძრის ეზოში ყველა ხედავდა შავ სამოსელში ჩაცმულ დეკანოზ ილარიონს ხელოსანთან ერთად, მარტო როგორ მუშაობდა, როგორ შრომობდა ტაძრის იატაკისა და საკურთხევლის რესტავრაციისათვის...

დედებო და მამებო, შვილებო და შვილიშვილებო, ახალგაზრდებო და ძველგაზრდებო, წმიდა გიორგის ტაძარი ხომ თქვენი შემოწირულობებით აშენდა, იქნებდა ვიფიქროთ სამშობლოს მომავალზე, დღევანდელობაზე, შთამომავლობაზე - მათ სულიერ, მენტალურ, ფიზიკურ განვითარებაზე, ყოველივე ხომ უფლის ნებაა, ხომ უფალია ყველაფერი... ირმა შველიძის მსგავსად, იქნებდა ვინმემ შემოუძახოს ხალხს, შეიქმნას ფონდი, იქნებდა ვინმე ღვთისნიერმა ითავოს ბორჯომის წმიდა გიორგის ტაძრის პერანგის ჩაცმაზე, მის მოხატვაზე - ტაძრის წინამძღვრის ხელშეწყობაზე - უპირველესად, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სულის და ჩვენი მონაგარის სულის გადარჩენაზე...

მოვისმინოთ მამა ილარიონის პირით, თუმც უფლის შთაგონებით მისი ქადაგებანი, დავდგეთ ყველა ერთად ჩვენი შთამომავლობის, ერისა და ქვეყნის გადასარჩენად...

მამა ილარიონის სულიერი შვილი
**ვიოლეტა ბალახაშვილი**

# გილოცავთ!



მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორია ქალების, დედების სათნოების, გმირობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითია. ყველა დედას გილოცავთ დედის დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსათვის საამაყო შვილების აღზრდას. შვილებს მინდა ვუთხრა - სადაც დედაა, იქ სიმყუდროვე და ხალისია, სადაც დედაა იქ სითბო და სიყვარულია. გაუფრთხილდით დედებს.

**ელიზბარ სტეფნაძე,**
(ა)იპ ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორი.



**ბორჯომის** საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა ულოცავს ჩვენს მანდილოსნებს დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს!

ქალი სამყაროს უძლიერესი არსებაა, ის მამაკაცებს ისეთ მიმართულებას აძლევს, როგორც მას და უფალს სურს.

ქალის ძალა არა მის გონებრივ შესაძლებლობებშია, არამედ მის ბუნებაშია, ის მდიდარი ნიჭი, რასაც შვილების აღზრდა ჰქვია, ყურადღების გამახვილება, მოთმინება, წესრიგისადმი სიყვარული, მანერები, გემოვნება და შვილებისადმი უსაზღვრო სიყვარული - ეს ყველაფერი ქალში გენეტიკურადაა ჩამოყალიბებული.

გისურვებთ ჯანმრთელობას, უღრუბლო ცას და უნარს. თქვენი მომხიბვლელობით მუდამ მიგეცეთ მამაკაცებისათვის სტიმული, იარონ წინ წარმატებისაკენ.

**ზაურ ლაზარაშვილი,**
საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე.

# მიმდინარეობს მასშტაბური დასუფთავების სამუშაოები



**ბორჯომში** მასშტაბური საგაზაფხულო დასუფთავებითი სამუშაოები მიმდინარეობს.

დასუფთავებით სამუშაოებს ა(ა)იპ ბორჯომის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად ბორჯომის გამწვანების სამსახური ახორციელებს.

დასუფთავების სამუშაოების ფარგლებში, სუფთავდება ქალაქის ცენტრალური ქუჩები, ინტენსიურ რეჟიმში ხდება საფეხმავლო ბილიკებისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ავტომოსაცდელების, მოაჯირებისა და ურნების რეცხვა. ასევე, ბორჯომში მოსული უხვი ნალექის გამო, ქვა-ღორღისაგან იწმინდება ქალაქის ქუჩები. ადგილზე მობილიზებულია მძიმე ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ხდება ქუჩების რეცხვა.

ცენტრალური ქუჩების დასუფთავების შემდეგ დაიწყება სხვადასხვა უბნების დასუფთავება.

# ვაკანსია

ბორჯომის სატყეო სამსახურს ტყის მცველის პოზიციაზე ესაჭიროება ენერგიული ადამიანები. ხელფასი 770 ლარი.

მსურველებმა მიაკითხეთ ბორჯომის სატყეოს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით: 595 00 01 05

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს ვუცხადებთ ბორჯომელ პოეტს მაკა ბლიაძეს **დედის** გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

# წინ, გაჯანსაღებისაკენ!
## პანდემიის გამო მოქმედი რეგულაციები შემსუბუქდა

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ ქვეყანამ „ომიკრონის“ შტამის გავრცელების პიკი გადაიარა, რაც შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შესაძლებლობას იძლევა. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით:

- 1 მარტიდან, საჰაერო, სასმელეთო და საზღვაო საზღვრით შემოდის უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე-რეზიდენტი, რომელიც არის სრულად ვაქცინირებული; ხოლო ვაქცინაციის არქონის შემთხვევაში წარადგენს 72-საათიანი ვალიდურობის მქონე PCR-ტესტს (მესამე დღეს PCR ტესტირების ვალდებულების გარეშე); იხსნება ქვეყნების ე.წ. ჩამკეტი; ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების PCR-ტესტით შემოსვლის შემთხვევაში, იხსნება მესამე დღეს PCR-ტესტირების ვალდებულება, ხოლო PCR-ტესტის არქონის შემთხვევაში, არსებული 8-დღიანი თვითიზოლაცია შემცირდება 5 დღემდე;
- რეგულაციების შემსუბუქების გათვალისწინებით, უქმდება ბიზნესვიზიტორების, „იმუშავე საქართველოდან“ და სტუდენტური აპლიკაციები.
- კვების ობიექტებში ღია სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 15 ადამიანი (არსებული 10-ის ნაცვლად);
- დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 10 ადამიანი (არსებული 6-ის ნაცვლად);
- უქმდება სტუმართა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა;
- სოციალური ღონისძიებების (წვეულება, დაბადების დღე, ქორწილი, ქელეხი) გამართვა დასაშვები იქნება იმავე პირობით - დახურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან - 10 ადამიანის, ხოლო ღია სივრცეში - ერთ მაგიდასთან 5 ადამიანის განთავსება.
- 1 მარტიდან უქმდება საკარანტინე სივრცეები, ე.წ. კოვიდსასტუმროებში, დღეიდან აღნიშნულ სივრცეებში ინფიცირებულთა შეყვანა შეჩერდება;
- უქმდება თერმოსკრინინგისა და ჟურნალის წარმოების ვალდებულება;
- უქმდება დეზობარიერის ქონის ვალდებულება.
- უქმდება ბუფეტის მომსახურებაზე შეზღუდვა;
- 4 მარტიდან დასაშვებია კლუბების ფუნქციონირება - ღონისძიების საერთო ფართის 60%-იანი დატვირთვით;
- 5 მარტიდან დასაშვებია კონფერენციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება შეზღუდვების გარეშე;
- საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ყოველკვირეული სიხშირის ნაცვლად, ორ კვირაში ერთხელ გაიმართება;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო განაგრძობს ეპიდემიოლოგიური ვითარების დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების შესაბამისად მიიღებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოწვეულ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

# ჭადრაკი
## გიორგი მესხის წარმატება

**თითქმის** ყოველ კვირას იმართება მაია ჩიბურდანიძის სახელობის ონლაინ ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ასაკის და სხვადასხვა სარეიტინგო ქულის მქონე მოჭადრაკეებს. ამ ონლაინ ტურნირში თითოეულ მოჭადრაკეს ეძლევა 10 წუთი.

ახალი წლიდან ამ ტურნირში ორჯერ მიიღეს მონაწილეობა ძმებმა, ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა **გიორგი მესხმა** და მეხუთეკლასელმა **დათო მესხმა.** ისინი ამავე დროს ბორჯომის სპორტსკოლის მოსწავლეებიც არიან. გიორგის 1500 ქულის რეიტინგი აქვს, დათოს - 1300.

პირველ ტურში 30 მონაწილეს შორის გიორგიმ IV ადგილი დაიკავა, დათომ XIII. გიორგისთვის უფრო წარმატებული აღმოჩნდა მეორე ტური, სადაც 34 მონაწილეს შორის II საპრიზო ადგილზე გავიდა (დათო მე-11 იყო). მათ მხოლოდ პირველ ადგილზე გასვლა 2020 რეიტინგის მქონესთან დათმო პარტია.

**უჩა ჯანგირაშვილი.**
მწვრთნელი.

# ჰუმანიტარული დახმარების გაწევა იწყება

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტი ბორჯომთან დამეგობრებული უკრაინული ქალაქ პოლტავისთვის ჰუმანიტარული დახმარებას გაწევას იწყებს. დღეს უკრაინა და ქალაქი პოლტავა განსაცდელის წინაშე დგანან და მათ ჩვენი დახმარება ესაჭიროებათ.

ბორჯომის მერიას აქტიური კომუნიკაცია აქვს ამ ქალაქების წარმომადგენლებთან და ჰუმანიტარული აქციაც მათი საჭიროებების მიხედვით იგეგმება.

ქალაქის მერია ჰუმანიტარულ აქციას დღეიდან იწყებს. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები გათვალისწინებული იქნება უკრაინელი ხალხისთვის პირველადი მოხმარების აუცილებელი ნივთების შესაძენად.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აქციაში ჩართვისკენ მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, წარმომადგენლებს, ყველა რიგით ბორჯომელს. ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას ქალაქის მერია საქართველოს მთავრობის დახმარებით უზრუნველყოფს.



აქციაში ჩართვის მსურველებმა ინფორმაციისთვის უნდა დარეკონ მერიის საინფორმაციო ნომერზე: 0367 22 44 99

# ნოდარ ბერიძის გახსენება



გული ცრემლებად იწურება, ტკივილი გაუსაძლისი ხდება, ჩვენო ძვირფასო ნოდარ. უშენობა ძნელია, დღე დღეს მისდევს, ჩვენთვის კი ყოველ გათენებას ახალი არაფერი მოაქვს, თითქოს მძიმე ფარდა ჩამოეშვა, მის იქით კი ვერაფერს ვხედავთ.

40 დღე მიილია, რაც ჩვენთან აღარ ხარ, შენი მადლიანი ხმა არ გვესმის, მხოლოდ მოგონებები გვათბობს, შენს სახეს გვიცოცხლებს და ისევ ცრემლი გვდის თვალებიდან. დედაშვილობის მადლით, სიზმრადმოსულმა დედა ანუგეშე. დედა, რომელიც უჩუმრად ცრემლსა ღვრის, დროდადრო ოხვრა აღმოხდება, და თუ თავს მარტო იგრძნობს, მხოლოდ მაშინ მოთქვამს ხმამაღლა, მის შემხედვარეს არ ვიცით, როგორ დავამშვიდოთ დედა. „დედას შვილი არ უნდა უკვდებოდეს, რად მომიკვდი, შვილო, რა დავაშავე“, - ბუტბუტებს თავისთვის და ჩვენც ვერ ვიკავებთ თავს, ვტირით.

ბორჯომს და ბორჯომელებს შენი უბრალოებით, კაცური კაცობით, ადამიანობით დაამახსოვრე თავი. ჩვენთან ერთად ისინიც გლოვობდნენ, ქალაქს დააკლდა კარგი მეგობარი, მხარში მდგომი, სულით ძლიერი პიროვნებაო, - ამბობდნენ.

შენს და-ძმას, დისშვილ-ძმისშვილებს, ახლობლებს არასდროს დაავიწყდები, ნოდარ. გულდამძიმებულები იმით ვინუგეშებთ თავს, რომ ზეციურ საქართველოში მაინც ერთად ვიქნებით.

**დედა, ძმა ოჯახით.**